ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №10

21 ივნისი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
16:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, ზურაბ ჩიკვილაძე, თინათინ ნიბლოშვილი, ნინო კვიტაიშვილი და სოფიო ჯაფარიძე.

მოწვეული სტუმრები:

1. ნინო მაჭარაშვილი – ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" დირექტორი;

2. ცირა შალოშვილი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომას თავმჯდომარეობდა კახაბერ ლაბუჩიძე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1.საკითხი: ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" საქმიანობის ანგარიშის განხილვა.

მომხსენებელი: ნინო მაჭარაშვილი

თანამდებობა: ა(ა)იპ „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" დირექტორი.

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.**

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თბილისს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი პირველად გადაეცა და პანდემიური ვითარების მიუხედავად, ქვეყანამ ეს შესაძლებლობა ეფექტურად გამოიყენა. მისი განცხადებით, „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" ფარგლებში, 2022 წლის 23-27 აპრილს იმყოფებოდა მექსიკის ქალაქ გვადალაჰარაში, რომელსაც თბილისისგან გადაეცა წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი. გვადალაჰარას ოფიციალურ შეხვედრებზე მასპინძელი ქვეყნისგან არაერთხელ აღინიშნა, რომ თბილისმა უმაღლეს დონეზე შეძლო წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსით პოზიციონირება, არამხოლოდ მუნიციპალურ დონეზე, არამედ საერთაშორისო თვალსაზრისით. უფრო მეტიც, თბილისი საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ქვეყნებმა წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი. ეს უპრეცედენტო შესაძლებლობაა მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე საქართველო მოიხაზოს, როგორც განსაკუთრებული კულტურის, ტრადიციების და ისტორიის მქონე ქვეყანა. ესპანურ

ენაზე პლანეტის ნახევარზე მეტი საუბრობს და მხოლოდ მექსიკაში 120 მილიონამდე მოსახლეობაა. სწორედ ამიტომ, როგორც „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" სტატუსის ფარგლებში მოხდა პლატფორმის წარმატებით გამოყენება, ისე უნდა მოხდეს მექსიკაში ქართული მწერლობის პოპულარიზაცია და საამისოდ აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს. კახაბერ ლაბუჩიძემ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" ხელმძღვანელობას, ყველა თანამშრომელს, რომელთაც პანდემიური პროცესების მიუხედავად, მაღალაკადემიურად წარმართეს პროცესები და მოკლე დროში საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტების, ფესტივალების თუ კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელება შეძლეს.

წარმოდგენილი დღის წესრიგი განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ა(ა)იპ „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" დირექტორს, ნინო მაჭარაშვილს, რომელმაც დეტალურად მიმოიხილა ყველა ის პროექტი თუ ღონისძიება, რომელიც განხორციელდა „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" ფარგლებში (**იხ. დანართი #1**).

როგორც ნინო მაჭარაშვილმა აღნიშნა, 2019 წელს ქალაქ თბილისის მერიამ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებამ განაცხადი შეიტანა გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის პროექტში „წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" მონაწილეობის მიზნით, რომელიც 2002 წლიდან ტარდება და ქალაქებს აღნიშნული სტატუსი ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ენიჭება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ კონკურსში პირველად მიიღო მონაწილეობა და წარდგენილი პროექტის მრავალფეროვნებისა და კომპლექსურობის გამო, პირველივე ცდაზე გაიმარჯვა, მაშინ, როცა ქალაქ თბილისს ჰყავდა 22 კონკურენტი, ფინალში – საფრანგეთისა და ინგლისის ქალაქებთან ერთად.

ნინო მაჭარაშვილის განცხადებით, წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი თბილისს 2021 წლის 23 აპრილიდან გადმოეცა (კუალა-ლამპურიდან) და ეს სტატუსი ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა. სტატუსის ოფიციალურ გადმობარებას ესწრებოდა დედაქალაქის მერი, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საპატიო სტუმრები იუნესკოდან და გამომცემელთა საერთაშორისო ორგანიზაციიდან.

„წიგნის მსოფლიო დედაქალაქი" გულისხმობს საგანმანათლებლო, შემეცნებით და კულტურულ ღონისძიებებს, რაც ხელს უწყობს მწერლობის, საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას, საერთაშორისო პროექტების მიმოცვლას.

კომისიის სხდომაზე, ნინო მაჭარაშვილმა ვრცლად წარმოადგინა შემდეგი პროექტები:

- წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსის გადმობარების შემდეგ შეხვედრები გაიმართა საგამომცემლო სექტორთან, რათა განხილულიყო საგამომცემლო სფეროს გამოწვევები, მით უფრო პანდემიის პერიოდში წარმოშობილი პრობლემების დასაძლევად და თანამედროვე საგამომცემლო სფეროს გამოწვევების შესასწავლად. წარმატებულად განხორციელდა სარეზიდენციო პროგრამები, რომლის ფარგლებში ათმა მწერალმა ახალ ლიტერატურულ ტექსტებზე მშვიდ და კომფორტულ გარემოში იმუშავა. აღნიშნული პროექტი მსოფლიოში აპრობირებული ფორმატია და მისი მიზანი თანამედროვე ავტორების ხელშეწყობა და ლიტერატურული პროცესების სტიმულირებაა.
- გამოცხადდა ილუსტრაციების ფესტივალი, კონკურსები მთარგმნელებისთვის, გამომცემლებისა და მწერლებისთვის, ონლაინ-ფესტივალები, რომლის მიზანი იყო შექმნილიყო ახალი პლატფორმა საგამომცემლო სფეროში დასაქმების მსურველი ილუსტრატორებისა და დიზაინერებისთვის.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განსაკუთრებით დაზარალებული სოფლების მე-10, მე-12 კლასის 50 მოსწავლისთვის ღონისძიება გაიმართა.
- ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორია „ჯეოლაბთან" ერთად გაკეთდა პროექტი „ინტერაქტიულ წიგნებში", რომელშიც ჩართული იყო ასამდე მოსწავლე და სტუდენტი. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ქართული ნაწარმოებების მიხედვით, ინტერაქტიული წიგნების შექმნა, მოკლე პრაქტიკული კურსების ჩატარება და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით, ცოდნის გაზიარება. პროექტის შედეგად შექმნილი ინტერაქციული თამაშები, როგორც დამხმარე საშუალება, ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებასა და დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორც ჯგუფში, ისე ინდივიდუალურადაც.
- განხორციელდა კონკურსები მთარგმნელების, გამომცემლებისა და მწერლებისთვის. მთარგმნელების კონკურსის მიზანი ქართულ ენაზე ნაკლებად თარგმნილი ენებიდან მთარგმნელთა გადამზადება იყო. გამომცემელთა კონკურსის მიზანი იყო, თარგმნილი ლიტერატურის გამოცემის ხელშეწყობა. თავის მხრივ, სტიპენდია საავტორო ლიცენზიის შესაძენი თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვას ითვალისწინებდა. ამ პროექტის ფარგლებში ხუთ დებიუტანტ ავტორს დაუფინანსდა წიგნის გამოცემა, რომლებიცაა: დიანა ანფიმიადი, სოფიკო დუმბაძე, ნინო სურამელაშვილი, ოთარ ჯირკვალიშვილი და დავით ჯიშკარიანი.
- თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" ფარგლებში, „არტარეასა" და თბილისის მერიის თანამშრომლობით, გაიმართა აუდიო-მუსიკალური საღამო - „თბილისური ეზო: ციფრული ტაეპი". წარმოდგენა, რომელსაც 200-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა, საქართველოს აუდიოფონდში დაცული ქართველი პოეტების ხმის უნიკალური ჩანაწერებისა და სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის შექმნილი მუსიკის ნაერთს წარმოადგენდა. პროექტი მიზნად ისახავდა კლასიკოსი მწერლებისა და თანამედროვე არტისტების შემოქმედების გაერთიანებასა და საზოგადოებისთვის საინტერესო და ორიგინალური ფორმით მიწოდებას.

➢ „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ხელშეწყობით, მწერალთა სახლმა, ბერლინის ლიტერატურის სახლ Lettrétage-სთან თანამშრომლობით, გერმანულენოვანი ქვეყნებისთვის, ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი „საქართველოს პირველი რესპუბლიკა - 1918-1921, ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება“ ჩაატარა. ფესტივალი ეძღვნებოდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში მიმდინარე ლიტერატურულ, კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებს, ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს, საბჭოთა ეპოქის ცენზურას და სხვა. პროგრამაში მონაწილეობდნენ ქართველი და გერმანელი მწერლები, გამომცემლები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები, ლიტერატურის კრიტიკოსები, მეცნიერები, ჟურნალისტები და შეფ-მზარეულები.

➢ საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, განახლდა თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდები. 177 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო ახალი გამოცემებით. თითოეულმა სკოლამ, 32 გამომცემლობისა და წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციისგან შეიძინა 159,229 ლარის ღირებულების წიგნი. სკოლის ბიბლიოთეკები შეივსო 75-85 ახალი ქართული თუ უცხოენოვანი გამოცემით. პროექტი მიზნად ისახავს წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წიგნის ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ყველა სფეროს განვითარებას.

➢ თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქმა“ თავის სტენდზე, ინტერაქციულ-გასართობ თამაში „იპოვე შენი შემდეგი წიგნი“ წარმოადგინა. თამაში, ნებისმიერ ადამიანს, ინდივიდუალურად ესადაგებოდა და, კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემის შედეგად, მომავალში წასაკითხი წიგნების სიას სთავაზობდა, რომელზეც 50%-იან ფასდაკლებას იღებდა. პროექტში ჩართული იყო რამდენიმე გამომცემლობა. იგივე თამაში, შემდგომში, აპლიკაციის სახითაც გაგრძელდა და მომხმარებელი ჰყავს.

➢ მწერალთა სახლის ორგანიზებითა და „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ მხარდაჭერით, მე-11 ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი გაიმართა. ფორუმ-დიალოგის მიზანი, ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია იყო, რაც, საერთაშორისო მასშტაბით, ქართველი ავტორების ცნობადობის გაზრდას, მათი ნაწარმოებების საავტორო უფლებების გაყიდვას, მთარგმნელობითი პროცესის ხელშეწყობასა და, ამ გზით, ქართული საგამომცემლო სფეროს განვითარებას გულისხმობდა. წელს, თბილისს, საფრანგეთიდან და იტალიიდან, შვიდი გამომცემელი, საავტორო უფლებების მენეჯერი და ლიტერატურის აგენტი ეწვია.

➢ „არტარეასა“ და თბილისის მერიის თანამშრომლობით, ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 160 წლის იუბილესადმი მიძღვნილი აუდიო-მუსიკალური საღამო, „თბილისური ეზო: ვაჟა-ფშაველა“ გაიმართა. ღონისძიების შინაარსი თენგიზ აბულაძის „ვედრების“ სიუჟეტს მიუყვებოდა. ღონისძიების მუსიკალური ნაწილი ნოდარ გაბუნიასა და სოსო ბარდანაშვილის კომპოზიციებსა და თავად ფილმის მუსიკალურ ბილიკზე იყო აწყობილი და გათანამედროვებული. საღამო გახსნა

მოწვეულმა მოდერატორმა, ლევან ბერძენიშვილმა. მან ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობასა და მსოფლმხედველობაზე ისაუბრა.

➢ სტუდენტებისთვის ლიტერატურისა და კინოს თემაზე კამპუსები მოეწყო თელავის სოფელ ართანაში მდებარე სასტუმროში. კამპუსებში მონაწილეობდა, თბილისის უმაღლესი ან პროფესიული სასწავლებლის 80 სტუდენტი, სალექციო კურსს კი მწერლები, რეჟისორები და კინომცოდნეები კითხულობდნენ. საუბრების სპექტრი მოიცავდა როგორც თანამედროვე, ისე კლასიკურ ხელოვნებასაც. ამ გზით, სტუდენტებმა, მეტი გაიგეს ამ სფეროებში მიმდინარე პროცესებისა თუ საზოგადოებისთვის მათი მნიშვნელობის შესახებ, უკეთ გაიცნეს თანამედროვე ავტორები, რეჟისორები, თანამედროვე ქართულ ლიტერატურა და კინო.

➢ გამოვლინდა „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქისა" და მწერალთა სახლის ერთობლივი გაცვლითი სარეზიდენციო პროგრამების გამარჯვებულები. ესპანეთის ქალაქ ლა კორუნიაში, გაემგზავრნენ თაკო ფოლადაშვილი და თეა თოფურია, ხოლო უკრაინის ქალაქ ლვოვში, ახალ ნაწარმოებზე, ზაზა კოშკაძემ იმუშავა. თავის მხრივ, მწერალთა სახლმა, თბილისში, ესპანელ და უკრაინელ ავტორებს უმასპინძლა.

➢ „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქისა" და კომპანია „მეამას" ერთობლივი ინიციატივით, ბათუმის ძველ ბულვარში მდებარე „მეამა ქოლექთის" სივრცეში, დროებითი ბიბლიოთეკა გაიხსნა. ბიბლიოთეკაში „სულაკაურის გამომცემლობის" წიგნები იყო წარმოდგენილი. ბიბლიოთეკით სარგებლობა, ნებისმიერ დამსვენებელს, უსასყიდლოდ შეეძლო. თაროებზე წარმოდგენილი იყო, ნებისმიერი ასაკისა და გემოვნების მკითხველისთვის განკუთვნილი, როგორც ახალი, ისე უკვე პოპულარული გამოცემები.

➢ გაიხსნა ახლად რეაბილიტირებული აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა. ფილიალი სრულად გარემონტდა, განახლდა ინფრასტრუქტურა და წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკის გახსნასთან დაკავშირებით, გაიმართა საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის, საქართველოში გერმანიის საელჩოსა და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ერთობლივი გამოფენა „გერმანული ფერადი ენაა". გამოფენა სამასამდე გერმანულენოვან გამოცემას აერთიანებდა. გამოფენის მიზანი თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ქართულენოვანი მკითხველისთვის გაცნობა იყო. გამოფენა თითქმის ერთ თვეს, სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა და ასობით დამთვალიერებელი ჰყავდა.

➢ თანამედროვე ხელოვნების ცენტრში ზღაპრის დღე გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, ილუსტრატორ გიორგი ჯინჭარაძის მიერ, „ამირანის" თემაზე შექმნილი პროექტი იყო წარმოდგენილი. ზღაპრის დღის მთავარი მოვლენა AR (Augmented reality - დამატებითი რეალობა) აპლიკაციის ონლაინპრეზენტაცია გახლდათ, რომლის მეშვეობითაც, ზღაპრული პერსონაჟების თანამედროვე რეალობაში გადმოყვანაა შესაძლებელი. აპლიკაცია უძველესი მითებისა და თანამედროვე ტექნოლოგიის ერთგვარი სინთეზია, რომელიც მომხმარებელს არა მხოლოდ გართობის, არამედ ფანტაზიის გაშლის საშუალებასაც მისცემს.

- საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებით, აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება „100 წიგნი საჩუქრად". ბიბლიოთეკის შესასვლელთან მდგარ წიგნების თაროებზე, გერმანული ლიტერატურის 100 ქართული თარგმანი იყო განთავსებული. აქტივობაში ჩართვა შეეძლო ნებისმიერ მსურველს, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემთხვევითობის პრინციპით არჩეული წიგნიდან, სახალხოდ წაიკითხავდა ნებისმიერ მონაკვეთს, რის შემდეგაც არჩეული წიგნი საჩუქრად გადაეცემოდა. პროექტი მიზნად ისახავდა გერმანული ლიტერატურის პოპულარიზაციას.
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და გამომცემლობა „პალიტრა L-თან" თანამშრომლობით, გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი ან/და პროფესიული სასწავლებლების მოქმედი სტუდენტებისთვის. პროექტის პირველ ეტაპზე, შერჩეული სტუდენტებისთვის, მხატვრული წერისა და წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, ლექციების სერიაც გაიმართება. კურსის დასრულების შემდეგ, პროექტის მონაწილე სტუდენტებმა, ორი კვირის განმავლობაში, ახალი მოთხრობა უნდა დაწერონ. ყველა მოთხრობას ერთ კრებულად გამომცემლობა „პალიტრა L" გამოსცემს. გამარჯვებულთა დაჯილდოება ნოემბრის ბოლოს იგეგმება.
- გაიმართა ამერიკის საგანმანათლებლო და კულტურულ საქმეთა დეპარტამენტის (ECA) სპიკერების პროგრამასა და საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან თანამშრომლობით დაგეგმილი ონლაინ-ლექციები საგამომცემლო სფეროზე. ლექციებს საერთაშორისო ექსპერტები ატარებდნენ. ონლაინ-ლექციების მსმენელი შეეძლო ყოფილიყო ნებისმიერი, ვისაც საგამომცემლო სფერო აინტერესებს. აღნიშნული პროგრამა, „თბილისი-წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" ფარგლებში, მომდევნო წლის აპრილში დაგეგმილი საგამომცემლო ტრენინგების კვირეულის ერთგვარ შესავალს წარმოადგენს. ონლაინ-ლექციებს ყოველდღიურად 80-მდე მსმენელი ჰყავდა.
- დაარსდა თბილისის საბავშვო ფესტივალი პრემია „ნაკადული", რომელიც ხუთ სხვადასხვა ჟანრში გასცემს პრიზებს. ჩატარდა ინკლუზიური საზაფხულო ბანაკი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის, შეიქმნა აუდიო წიგნები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის, საქართველო წარსდგა ოთხ საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე. საქართველოს ბანკის ფინანსური მხარდაჭერით გაკეთდა ლიტერატურული თამაში „კითხვა - პასუხია", აუდიო-ვიზუალური პროექტი - ექო.
- მწერალთა სახლის იდეაზე დაყრდნობით შეიქმნა რეპრესირებული მწერლების მუზეუმი. ამერიკის საელჩო აგრძელებს დაფინანსებას და სექტემბრისთვის იგეგმება მუზეუმის სრულად გახსნა.
- ჩატარდა საერთაშორისო საგამომცემლო კონფერენცია, ძირითადად იყო შავი ზღვის აუზის ქვეყნებისთვის, თუმცაღა ევროპის ქვეყნებიდანაც იყვნენ წარმოდგენილები გამომცემლები, რომლის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო ომი და ლიტერატურა.
- ოფიციალურად დაარსდა UNESCO WBC Network-ი თბილისში.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა:
განათლებისა და კულტურის კომისიის წევრმა, ნინო კვიტაიშვილმა.

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, ნინო კვიტაიშვილი დაინტერესდა, თუ როგორ შეირჩნენ თანამედროვე ავტორები სარეზიდენციო პროგრამის ფარგლებში, რაზეც ნინო მაჭარაშვილისგან განემარტა, რომ ავტორებს უნდა დაეკმაყოფილებინათ სამასპექტიანი მოთხოვნა, კერძოდ, უნდა წარმოედგინათ ბიოგრაფია (CV), მხატვრული ტექსტის ფრაგმენტი და სინოფსისი. აღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ კი, ჟიური არჩევდა წიგნებს თემებისა და მწერლური ოსტატობის მიხედვით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

განათლებისა და კულტურის კომისიამ ცნობად მიიღო ა(ა)იპ „თბილისი – წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" საქმიანობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

შეადგინა: ირაკლი შამათავა

ᠬᠣᠯᠪᠣᠭᠳᠠᠯ ᠪᠣᠳᠣᠯᠴᠠᠯᠳᠠ ᠬᠡᠪᠯᠡᠬᠦᠢ ᠴᠠᠭᠠᠨ ᠳᠤᠷᠰᠢᠯᠳᠠ

ᠬᠣᠯᠪᠣᠭᠳᠠᠯ ᠪᠣᠳᠣᠯᠴᠠᠯᠳᠠ ᠬᠡᠪᠯᠡᠬᠦᠢ ᠴᠠᠭᠠᠨ ᠳᠤᠷᠰᠢᠯᠳᠠ

2021

თბილისი - UNESCO-ს წიგნის მსოფლიო დედაქალაქი 2021

წიგნის მსოფლიო დედაქალაქი გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) პროექტია. თბილისი, ამ საპატიო სტატუსს 2021 წლის 23 აპრილიდან, ერთი წლის განმავლობაში ატარებს.

უკვე განხორციელებული და დაგეგმილი პროექტები, წიგნიერების განვითარების ხელშეწყობას ემსახურება და თანაბრადაა განკუთვნილი რიგითი მკითხველისთვის, ბავშვების, მოზარდების, იმ უმცირესობებისთვის, რომელთა ხელმისაწვდომობა წიგნზე, დაბალია; ასევე, მწერლების, მთარგმნელების, ილუსტრატორებისა და გამომცემლობებისთვის.



სახელმწიფო ენის დღე - 14 აპრილი

2020 წლის 23 აპრილს, თბილისმა ოფიციალურად გადმოიბარა იუნესკოს წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსი. თუმცა, პირველი განაცხადი, პროექტმა სახელმწიფო ენის დღეს გააკეთა.

14 აპრილს, სახელმწიფო ენისადმი მიძღვნილი ღონისძიებების სერია გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო, სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილი დოკუმენტური ფილმი, გაიმართა პანელდისკუსია 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებზე, ლექცია შემოქმედებითი წერის სპეციფიკაზე, ენის გათანამედროვებაზე, სასწავლო შეხვედრები და ლექცი ბავშვებისა და მოზრდილებისთვის.

ღონისძიებას ასამდე სტუმარი ჰყავდა, რომლებმაც14 აპრილის, როგორც ისტორიული მოვლენის შესახებ მეტი გაიგეს დ კიდევ უფრო ახლოს გაიცნეს ქართულ დამწერლობასთან და წიგნის ბეჭდვასთან დაკავშირებული სფეროები.





თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქი გახდა!

23 აპრილს გაიმართა თბილისის მიერ წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსის ოფიციალურად გადმობარების საზეიმო ცერემონიალი. სტატუსი, თბილისი მერმა კახა კალაძემ, კუალა ლუმპურის მერი დელეგაციისგან გადმოიბარა.

საზეიმო ღონისძიებას დაესწრნენ საპატიო სტუმრები იუნესკოდან, გამომცემელთა საერთაშორისო ორგანიზაციიდან, წიგნის საერთაშორისო ფესტივალებიდან, დიპლომატიური კორპუსისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.
გახსნის ცერემონიის ოფიციალური ნაწილის შემდეგ გაიმართა კოსტიუმირებული პერფორმანსი, რომელ ასახული იყო ქართული მწერლობის ისტორია.



შეხვედრა გამომცემლებთან

წიგნის მსოფლიო დედაქალაქის სტატუსის გადმობარების შემდეგ, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გაიმართა უცხოელ სტუმართა შეხვედრა საქართველოში მოქმედი გამომცემლობების წარმომადგენლებთან. შეხვედრისას განხილული იყო თანამედროვე საგამომცემლო სფეროს გამოწვევები, პანდემიისას წარმოშობილი პრობლემები და სამომავლო ხედვა. დაიგეგმა თანამშრომლობა გამოცდილების გაცვლის მიმართულებით.





სარეზიდენციო პროგრამა

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, გამოცხადდა სარეზიდენციო პროგრამა თანამედროვე ავტორებისთვის. პროგრამის ფარგლებში შერჩეულმა ათმა მონაწილემ, ახალ ლიტერატურულ ტექსტებზე, მშვიდ და კომფორტულ გარემოში იმუშავეს, რაც ხელს უწყობდა ავტორთა მოტივაციის გაზრდას, ნაყოფიერი სამუშაო პროცესისა და შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვას, რის შედეგადაც, შეიქმნება სრულიად ახალი ლიტერატურული ნამუშევრები.
აღნიშნული პროექტი მსოფლიოში მიღებული ფორმატია და მისი მიზანი, თანამედროვე ავტორების ხელშეწყობა და სალიტერატურო პროცესის სტიმულირებაა.

ილუსტრაციების ფესტივალი

დაფუძნდა და ჩატარდა ილუსტრაციის ფესტივალი. ფესტივალის მიზანია, შეიქმნას ახალი პლატფორმა საგამომცემლო სფეროში დასაქმების მსურველი ილუსტრატორებისა და დიზაინერებისთვის. პლატფორმამ გამომცემლებსა და ილუსტრაციებით დაინტერესებულ პირებს, საშუალება მისცა, გაეცნოთ და აღმოეჩინათ ილუსტრატორები და დაემყარებინათ საქმიანი ურთიერთობები.

გამოიცა პირველი ორენოვანი კატალოგი



შეხვედრა მოსწავლეებთან

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ეროვნულ ბიბლიოთეკა
2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს განსაკუთრებით დაზარალებული
სოფლების მე-10-12 კლასის 50 მოსწავლისთვის, ღონისძიება გაიმართა.
მოსწავლეებმა დაათვალიერეს დამოუკიდებლობის დარბაზი და სპეციალურად
დღისთვის შექმნილი გამოფენა. მიიღეს დაწვრილებითი ინფორმაცია „თბილისი
წიგნის მსოფლიო დედაქალაქისა“ და, ერთი წლის განმავლობაში,
მოზარდებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე.



ინტერაქტიული წიგნები

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორია „ჯეოლაბის“ პროექტ „ინტერაქტიულ წიგნებში“, ჩართულია ასამდე მოსწავლე და სტუდენტი.
პროექტის მიზანია, ქართული ნაწარმოებების მიხედვით, ინტერაქტიული წიგნების შექმნა, მოკლე პრაქტიკული კურსების ჩატარება და, კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით, ცოდნის გაზიარება. სასწავლო პროცესი, წიგნების დეველოპმენტის ჩათვლით, ოქტომბრის ბოლოს დასრულდება.
პროექტის შედეგად შექმნილი ინტერაქციული თამაშები, როგორც დამხმარე საშუალება, ხელს შეუწყობს ცოდნის გაღრმავებასა და დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორც ჯგუფში, ისე ინდივიდუალურადაც.





კონკურსები მთარგმნელების, გამომცემლებისა და მწერლებისათვის

მთარგმნელების კონკურსის მიზანი ქართულ ენაზე ნაკლებად თარგმნილი ენებიდან მთარგმნელთა გადამზადება იყო

გამომცემელთა კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს თარგმნილი ლიტერატურის გამოცემას. სტიპენდია საავტორო ლიცენზიის შესაძენი თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაფარვას ითვალისწინებს.

მწერლების სტიპენდიის კონკურსს ხუთი გამარჯვებული ჰყავს: დიანა ანფიმიადი, სოფიკო დუმბაძე, ნინო სურამელაშვილი, ოთარ ჯირკვალიშვილი და დავით ჯიშკარიანი.

თბილისური ეზო: ციფრული ტაეპი

„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში, „არტარეასა“ და თბილისის მერიის თანამშრომლობით, გაიმართა აუდიო-მუსიკალური საღამო - „თბილისური ეზო: ციფრული ტაეპი“. წარმოდგენა, რომელსაც 200ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა, საქართველოს აუდიოფონდში დაცული ქართველი პოეტების ხმის უნიკალური ჩანაწერებისა და სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის შექმნილი მუსიკის ნაერთს წარმოადგენდა.
პროექტი მიზნად ისახავს კლასიკოსი მწერლებისა და თანამედროვე არტისტების შემოქმედების გაერთიანებასა და საზოგადოებისთვის საინტერესო და ორიგინალური ფორმით მიწოდებას.



ონლაინფესტივალი საქართველოს პირველი რესპუბლიკა - 1918-1921

„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ხელშეწყობით, მწერალთა სახლმა, ბერლინის ლიტერატურის სახლ Lettrétage-სთან თანამშრომლობით, გერმანულენოვანი ქვეყნებისთვის, ონლაინ ლიტერატურული ფესტივალი, „საქართველოს პირველი რესპუბლიკა - 1918-1921. ისტორია. ლიტერატურა. ხელოვნება“, ჩაატარა.

ფესტივალი ეძღვნებოდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში მიმდინარე ლიტერატურულ, კულტურულ და პოლიტიკურ პროცესებს, ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს, საბჭოთა ეპოქის ცენზურას და სხვა.

პროგრამაში მონაწილეობდნენ ქართველი და გერმანელი მწერლები, გამომცემლები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები, ლიტერატურის კრიტიკოსები, მეცნიერები, ჟურნალისტები და შეფმზარეულები.

თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განახლება

- საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობით, განახლდა თბილისის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდები.
- ახალი გამოცემებით 177 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო.
- 177-მა საჯარო სკოლამ, 32 გამომცემლობისა და წიგნის გამავრცელებელი ორგანიზაციისგან, შეიძინა 159 229 ლარის ღირებულების წიგნები.
- თითოეული სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო, 75-85 ახალი ქართული თუ უცხოენოვანი გამოცემით.

პროექტი მიზნად ისახავს წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციას, ხელს უწყობს წიგნის ინდუსტრიისა და მასთან დაკავშირებული ყველა სფეროს განვითარებას. ასევე, სკოლების ბიბლიოთეკების გამდიდრებას ახალი გამოცემებითა და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომობის ზრდას, მათთვის საინტერესო ლიტერატურაზე.





წიგნის ფლიმარკეტი

ივნისში, მზიურის პარკში, პირველი წიგნის ფლიმარკეტი გაიმართა. ფლიმარკეტზე წიგნები გამოიტანეს, როგორც კერძო პირებმა, ისე ბუკინის და წიგნის მაღაზიებმა. შესაძლებელი იყო, წიგნების როგორც გაყიდვა, ისე გაცვლა ან გაჩუქება. მეორე წიგნის ფლიმარკეტი 17 ივლისს გაიმართა, ხოლო, 18-19 სექტემბერს, დედაენის ბაღმა, მესამე ფლიმარკეტს უმასპინძლ ამჯერად, თემა, ახალი სასწავლო წლის დაწყება იყო. ახალი თუ მეორეულ წიგნების გარდა, ფლიმარკეტის სტუმრებს სასკოლო თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა და საკანცელარიო ინვენტარის შეძენაც შეეძლოთ. სამივე წიგნის ფლიმარკეტს ათასობით სტუმარი ჰყავდა.





თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქმა“ თავის სტენდზე, ინტერაქციულ-გასართობ თამაში „იპოვე შენი შემდეგი წიგნი“ წარმოადგინა. თამაში, ნებისმიერ ადამიანს, ინდივიდუალურად ესადაგებოდა და, კონკრეტულ კითხვებზე პასუხის გაცემის შედეგად, მომავალში წასაკითხი წიგნების სიას სთავაზობდა, რომელზეც 50%-იან ფასდაკლებას იღებდა. პროექტში ჩართული იყო რამდენიმე გამომცემლობა. იგივე თამაში, შემდგომში, აპლიკაციის სახითაც გაგრძელდა და მომხმარებელი ჰყავს.

ფორუმ-დიალოგი

მწერალთა სახლის ორგანიზებითა და „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ მხარდაჭერით, მე-11 ლიტერატურული ფორუმ-დიალოგი გაიმართა.
ფორუმ-დიალოგის მიზანი, ქართული ლიტერატურის საზღვარგარეთ პოპულარიზაცია იყო, რაც, საერთაშორისო მასშტაბით, ქართველი ავტორების ცნობადობის გაზრდას, მათი ნაწარმოებების საავტორო უფლებების გაყიდვას, მთარგმნელობითი პროცესის ხელშეწყობასა და, ამ გზით, ქართული საგამომცემლო სფეროს განვითარებას გულისხმობდა.
წელს, თბილისს, საფრანგეთიდან და იტალიიდან, შვიდი გამომცემელი, საავტორო უფლებების მენეჯერი და ლიტერატურის აგენტი ეწვია.





შეხვედრა ქვემო ქართლის სკოლების მოსწავლეებთან

„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ორგანიზებითა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან პარტნიორობით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გაიმართა შეხვედრა ქვემო ქართლის სკოლების მე-11-12 კლასის მოსწავლეებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი და მწერალი, გიორგი კეკელიძე, დირექტორის მოადგილე, მირიან ხოსიტაშვილი, "თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" დირექტორი, ნინია მაჭარაშვილი, და მწერალი დათო ტურაშვილი, მათ ლიტერატურაზე, წიგნის მნიშვნელობაზე, თანასწორობასა და თავისუფლებაზე ესაუბრნენ.





თბილისური ეზო: ვაჟა ფშაველა

„არტარეასა“ და თბილისის მერიის თანამშრომლობით, ვაჟა ფშაველას დაბადებიდან 160 წლის იუბილესადმი მიძღვნილი აუდიო-მუსიკალური საღამო, „თბილისური ეზო: ვაჟა ფშაველა“ გაიმართა.

ღონისძიების შინაარსი თენგიზ აბულაძის „ვედრების“ სიუჟეტს მიუყვებოდა. ღონისძიების მუსიკალური ნაწილი ნოდარ გაბუნიასა და სოსო ბარდანაშვილის კომპოზიციებსა და თავად ფილმის მუსიკალურ ბილიკზე იყო აწყობილი და გათანამედროვებული.

საღამო გახსნა მოწვეულმა მოდერატორმა, ლევან ბერძენიშვილმა. მან ვაჟა ფშაველას შემოქმედების მნიშვნელობასა და მსოფლმხედველობაზე ისაუბრა.



სტუდენტური კამპუსი

თელავის სოფელ ართანაში მდებარე სასტუმროში, სტუდენტებისთვის ლიტერატურისა და კინოს თემაზე, კამპუსები მოეწყო. კამპუსებში მონაწილობდა, თბილისის უმაღლესი ან პროფესიული სასწავლებლის 80 სტუდენტი, სალექციო კურსს კი მწერლები, რეჟისორები და კინომცოდნეები კითხულობდნენ. საუბრების სპექტრი მოიცავდა, როგორც თანამედროვე, ისე კლასიკურ ხელოვნებასაც.

ამ გზით, სტუდენტებმა, მეტი გაიგეს ამ სფეროებში მიმდინარე პროცესებისა თუ საზოგადოებისთვის მათი მნიშვნელობის შესახებ, უკეთ გაიცნეს თანამედროვე ავტორები, რეჟისორები, თანამედროვე ქართულ ლიტერატურა და კინო.





საერთაშორისო რეზიდენცია

გამოვლინდა „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქისა“ და მწერალთა სახლის ერთობლივი გაცვლითი სარეზიდენციო პროგრამების გამარჯვებულები: ესპანეთის ქალაქ ლა კორუნიაში, გაემგზავრნენ თაკო ფოლადაშვილი და თეა თოფურია, ხოლო უკრაინის ქალაქ ლვოვში, ახალ ნაწარმოებზე, ზაზა კოშკაძემ იმუშავა.

თავის მხრივ, მწერალთა სახლმა, თბილისში, ესპანელ და უკრაინელ ავტორებს უმასპინძლა.



ბიბლიოთეკა ბათუმის ბულვარში

„თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქისა“ და კომპანია „მეამას“ ერთობლივი ინიციატივით, ბათუმის ძველ ბულვარში მდებარე „მეამა ქოლექთის“ სივრცეში, დროებითი ბიბლიოთეკა გაიხსნა. ბიბლიოთეკაში „სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნები იყო წარმოდგენილი.



ბიბლიოთეკით სარგებლობა, ნებისმიერ დამსვენებელს, უსასყიდლოდ შეეძლო. თაროებზე წარმოდგენილი იყო, ნებისმიერი ასაკისა და გემოვნების მკითხველისთვის განკუთვნილი, როგორც ახალი, ისე უკვე პოპულარული გამოცემები.



გერმანული ფერადი ენაა

გაიხსნა ახლად რეაბილიტირებული აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა. ფილიალი სრულად გარემონტდა, განახლდა ინფრასტრუქტურა და წიგნადი ფონდი.

ბიბლიოთეკის გახსნასთან დაკავშირებით, გაიმართა საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის, საქართველოში გერმანიის საელჩოსა და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ერთობლივი გამოფენა „გერმანული ფერადი ენაა". გამოფენა სამასამდე გერმანულენოვან გამოცემას აერთიანებდა.

გამოფენის მიზანი თანამედროვე გერმანული ლიტერატურის ქართულენოვანი მკითხველისთვის გაცნობა იყო. გამოფენა თითქმის ერთ თვეს, სექტემბრის ბოლომდე გაგრძელდა და ასობით დამთვალიერებელი ჰყავდა.





ზღაპრის დღე

თანამედროვე ხელოვნების ცენტრში ზღაპრის დღე გაიმართა, რომლის ფარგლებშიც, ილუსტრატორ გიორგი ჯინჭარაძის მიერ, „ამირანის“ თემაზე შექმნილი პროექტი იყო წარმოდგენილი.

ზღაპრის დღის მთავარი მოვლენა AR (Augmented reality - დამატებითი რეალობა) აპლიკაციის ონლაინპრეზენტაცია გახლდათ, რომლის მეშვეობითაც, ზღაპრული პერსონაჟების თანმედროვე რეალობაში გადმოყვანაა შესაძლებელი. აპლიკაცია უძველესი მითებისა და თანამედროვე ტექნოლოგიის ერთგვარი სინთეზია, რომელიც მომხმარებელს არა მხოლოდ გართობის, არამედ ფანტაზიის გაშლის საშუალებასაც მისცემს.









100 წიგნი საჩუქრად

საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის ორგანიზებით, აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება „100 წიგნი საჩუქრად“.

ბიბლიოთეკის შესასვლელთან მდგარ წიგნების თაროებზე, გერმანული ლიტერატურის 100 ქართული თარგმანი იყო განთავსებული. აქტივობაში ჩართვა შეეძლო ნებისმიერ მსურველს, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემთხვევითობის პრინციპით არჩეული წიგნიდან, სახალხოდ წაიკითხავდა ნებისმიერ მონაკვეთს, რის შემდეგაც არჩეული წიგნი საჩუქრად გადაეცემოდა.

პროექტი მიზნად ისახავდა გერმანული ლიტერატურის პოპულარიზაციას.





ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და გამომცემლობა „პალიტრა L-თან“ თანამშრომლობით, გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი ან/და პროფესიული სასწავლებლების მოქმედი სტუდენტებისთვის. პროექტის პირველ ეტაპზე, შერჩეული სტუდენტებისთვის, მხატვრული წერისა და წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით, ლექციების სერიაც გაიმართება.

კურსის დასრულების შემდეგ, პროექტის მონაწილე სტუდენტებმა, ორი კვირის განმავლობაში, ახალი მოთხრობა უნდა დაწერონ. ყველა მოთხრობას ერთ კრებულად გამომცემლობა „პალიტრა L“ გამოსცემს. გამარჯვებულთა დაჯილდოება ნოემბერის ბოლოს იგეგმება.



ონლაინლექციები გამომცემლებისთვის

5-8 ოქტომბერს, „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში, გაიმართა ამერიკის საგანმანათლებლო და კულტურულ საქმეთა დეპარტამენტის (ECA) სპიკერების პროგრამასა და საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან თანამშრომლობით დაგეგმილი ონლაინლექციები საგამომცემლო სფეროზე. ლექციებს საერთაშორისო ექსპერტები ატარებდნენ.

ონლაინლექციების მსმენელი შეეძლო ყოფილიყო ნებისმიერი, ვისაც საგამომცემლო სფერო აინტერესებს. აღნიშნული პროგრამა, „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში, მომდევნო წლის აპრილში დაგეგმილი საგამომცემლო ტრენინგების კვირეულის ერთგვარ შესავალს წარმოადგენს.

ონლაინლექციებს ყოველდღიურად 80-მდე მსმენელი ჰყავდა.

თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

17-24 ოქტომბერს, თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი გაიმართება. „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ ფარგლებში მიმდინარე ფესტივალის ორგანიზატორი და მასპინძელია მწერალთა სახლი.

წლევანდელი პროგრამის მთავარი თემაა ქალაქი, როგორც სიმბოლო, რომელიც ამერიკელ პოეტსა აქტივისტ ლორენს ფერლინგეტის უკავშირდება. მის შემოქმედებას ფესტივალის პროგრამ. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა. ფესტივალში მონაწილეებს ოცამდე უცხოელი მწერალი.

დაგეგმილია დისკუსიები, შეხვედრები ავტორებთან, პოეტური პერფორმანსები და სხვა.



თბილისის საბავშვო ფესტივალი

პრემია „ნაკადული“

ინკლუზიური საზაფხულო ბანაკი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის



აუდიოწიგნები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირებისთვის

საქართველო წიგნის საერთაშორისო ბაზრობებზე

International Projects

Georgia at the International Book Fairs

Frankfurt - Literary program, presenting German translation of Aka Morchiladze's book "Old Hearts and Sword"

Thessaloniki - National Stand of Georgia and the literary program

Guadalajara – National Stand of Georgia and the literary program

Bologna – the stand of Tbilisi – World Book Capital and the Georgian program

ლიტერატურული თამაში „კითხვა - პასუხია“







აუდიო-ვიზუალური პროექტი - ექო

ილუსტრაციული მასალები ოფლიკოვანი ინფექციებისა

საერთაშორისო საგამომცემლო კონფერენცია

კომუნიკაცია რუსული აგრესიის წინააღმდეგ

UNESCO WBC Network-ის ოფიციალური დაარსება თბილისში

პარტნიორები

ეფექტური